

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო, შემდგომში „შემსყიდველი“, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მაია შუბითიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პროსერვისი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) დირექტორის რევაზ ნატროშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში**, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, „ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად (მონეტარული ზღვრის დაცვით), ვებ გვერდის შექმნის (თანმდევი მომსახურებით) მომსახურების (CPV: 72413000) სახელმწიფო შესყიდვა, რაზეც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველს გაუწიოს აღნიშნული მომსახურება 9 500.00 (ცხრა ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარად (მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და „მიმწოდებლისათვის“ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის ობიექტი	ღირებულება (ლარი)
ვებ გვერდის დამზადება (თანმდევი მომსახურებით) ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად.	9 500.00

4. მომსახურების გაწევის პირობები:

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 95 კალენდარული დღის განმავლობაში, ტექნიკური დავალების შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1. პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია: სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

5.4. მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის სხვადასხვა თარიღში ხელმოწერის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტი ძალაში შედის ბოლოს დაფიქსირებული ხელმოწერის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

5.5. 5.4. პუნქტის შემთხვევაში ბოლო ხელმოწერი მხარე ვალდებულია ხელმოწერის დღესვე, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის და მიღება-ჩაბარების აქტის ძალაში შესვლის თაობაზე.

6. ანგარიშსწორება

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიმართოს შემსყიდველს და მატერიალური სახით წარუდგინოს მასთან შეთანხმებული საავანსო საბანკო გარანტია, შემდგომი წინასწარი ანგარიშსწორების მიზნით, ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შემსყიდველთან შეთანხმებული საავანსო საბანკო გარანტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, საავანსო საბანკო გარანტია უნდა იყოს საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული, შემსყიდველთან

შეთანხმებული შინაარსის უპირობო, გამოუთხოვადი და მისი მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.1.3. ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

7.2.2. წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდების ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.4.2. უზრუნველყოს საქონლის მიწოდების პროცესში შემსყიდველისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება სრულად, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველთან შეთანხმებით, გონივრულ ვადაში.

7.4.3. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

7.4.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.4.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზღავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოძვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების ცვლილება

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.

9.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.2. შესრულების ვადების დარღვევის ან/და ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

12.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის 12.2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი: სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - სოფიკო ჭუმბურიძე (საკონაქტო ელ. ფოსტა: schumburidze@suda.gov.ge).

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
- 15.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულების სხვადასხვა თარიღში ხელმოწერის შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში შედის ბოლოს დაფიქსირებული ხელმოწერის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.
- 15.3. 15.2 პუნქტის შემთხვევაში ბოლო ხელმოწერი მხარე ვალდებულია ხელმოწერის დღესვე, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის და ხელშეკრულების ძალაში შესვლის თაობაზე.
- 15.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით.

16. საავტორო უფლებები

16.1 ვებ გვერდის პროგრამული ნაწილის ასლი (კოპიო) მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველს გადაეცემა სრულად, ზენდით დაშიფრული სახით, ამასთან პროგრამული კოდის საავტორო უფლება ეკუთვნის მიმწოდებელს. შემსყიდველს არ აქვს უფლება ვებ გვერდის პროგრამა ან პროგრამის რომელიმე ნაწილი მიმწოდებელთან შეთანხმების გარეშე გამოიყენოს სხვა ნებისმიერი პროექტისათვის, გადასცეს მესამე პირებს ან მოახდინოს მასში ცვლილებები. ყველა საჭირო ცვლილებებს, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია საჭირო გახდეს მხარეების მიერ მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდგომ, დამატებითი შეთანხმების საფუძველზე ანხორციელებს მიმწოდებელი.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ელექტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ სივრცითი და
 ქალაქთმშენებლობითი განვითარების
 სააგენტო
 ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას
 სანაპირო N1
 საიდენტიფიკაციო კოდი: 204624834
 სახელმწიფო ხაზინა
 ბანკის კოდი: TRESGE22
 ა/ა NGE24NB0330100200165022

„მიმწოდებელი“

შპს პროსერვისი
 საიდენტიფიკაციო კოდი:
 204929168
 მის: თბილისი, ვაკის რაიონი,
 პეტრე ქავთარაძის ჩიხი, N 3
 სს თიბისი ბანკი“
 ბანკის კოდი: TBCBGE22
 ა/ა GE28TB0600000303467561

მაია შუბითიძე

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი

რევაზ ნატროშვილი

დირექტორი

სსიპ სივრცით და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ვებ- გვერდი

ტექნიკური დავალება

MAIA SHUBITIDZE

სარჩევი

1.	პროექტის მიზანი და ამოცანები	3
2.	შესყიდვის ობიექტი	3
2.1	მომსახურება მოიცავს	3
3.	ვებ-გვერდისთვის მინიმალური ტექნიკური და ფუნქციონალური მოთხოვნები:.....	4
3.1.	ზოგადი მოთხოვნები:.....	4
3.2	პროექტის მართვის მიმართ მოთხოვნები	5
3.3	მიწოდების პირობები და ვადები	6
3.4	მომსახურების და ვებ-გვერდის ჩაბარების პირობები	6
3.5	გვერდების სტრუქტურა & დიზაინი	7
3.5.1.	გვერდების კატეგორიზაცია	7
3.5.2.	გვერდის შექმნა, დამატება	7
3.5.3.	ფუნქციური ერთეულების ჩამონათვალი:.....	8
4.	ვებ-გვერდისა და სამართავი პანელის მიმართ ზოგადი მოთხოვნები.....	8
4.1.	ზოგადი მოთხოვნები.....	8
4.2.	დამატებითი მოთხოვნები	9
4.3.	მენიუების მართვა	9
5.	სამართავი (ADMIN) პანელის შესახებ.....	10
5.1.	ავტორიზაცია	10
5.2.	როლები და უფლებები ადმინ პანელში	10
5.3.	ლოგირება ადმინ პანელში	11
5.4.	მენიუს მართვა და ადმინ პანელის მოდულები.....	12
5.4.1.	ჰედერი	12
5.4.2.	ლენდინგი - მთავარი გვერდი	12
5.4.3.	ჩვენს შესახებ	12
5.4.4.	მომსახურება	13
5.4.5.	პროექტები.....	13
5.4.6.	სასარგებლო ინფორმაცია	13
5.4.7.	მედია.....	14
5.4.8.	კონტაქტი.....	14
5.5.	აღწერა.....	15
5.6.	ძებნა.....	15
5.7.	Cookies	16
6.	ვებ-გვერდის დეტალური აღწერა	16
6.1.	ვებ-გვერდის აგებულება:.....	16
6.1.1.	ჰედერი	17

6.1.2.	მთავარი გვერდი	18
6.1.3.	გვერდი - „ჩვენ შესახებ“	20
6.1.4.	გვერდი - „ფასიანი მომსახურებები“	21
6.1.5.	გვერდი - „პროექტები“	21
6.1.6.	გვერდი - „საჯარო ინფორმაცია“	22
6.1.6.1.2.	კონკურსები/ტენდერები	22
6.1.7.	გვერდი - „სიახლე“	24
6.1.8.	გვერდი - „კონტაქტი“	26
6.1.9.	ფუტერი.....	26

1. პროექტის მიზანი და ამოცანები

1.1. სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს(შემდგომში - „სააგენტო“) ვებ-გვერდით იქმნება ერთიანი პლათფორმა, რომელიც გააერთიანებს ყველა იმ მიმართულებას, რომელსაც სააგენტოს საქმიანობა მოიცავს, ვებ-გვერდი იქნება საინფორმაციო ხასიათის. ვებ-გვერდმა უნდა წარმოაჩინოს სააგენტოს ფუნქციები, მოვალეობები და ღირებულებები. ვებ-გვერდის დახმარებით, მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მათ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაცია.

1.2. მომხმარებლები სააგენტოს ვებ-გვერდზე მიიღებენ შემდეგ ინფორმაციას:

- სააგენტოს საქმიანობის, მისი ფუნქციების და ხედვის შესახებ;
- ინფორმაციას სააგენტოს მომსახურებების შესახებ;
- ინფორმაციას სააგენტოს მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილ პროექტების შესახებ;
- ინფორმაციას საკანონმდებლო საკითხებსა თუ რეგულაციებზე;
- ინფორმაციას დაგეგმილ ღონისძიებებზე;
- სააგენტოს ოფიციალური განცხადებებზე, პრესრელიზებსა და ვიდეო, ფოტომასალებზე;

1.3. მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია სულ მცირე შემდეგი ამოცანების შესრულება:

- სააგენტოს ვებ-გვერდის დიზაინის შემუშავება;
- ინოვაციური მიდგომების გათვალისწინებით, თანამედროვე სტანდარტების ფუნქციონალის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება, როგორც არსებული, ისე მომავალში, სააგენტოს მიერ შემუშავებული კონტენტის/მასალების განთავსება, რომელიც იქნება სანდო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.
- მომხმარებლისთვის მოსახერხებელი და მის საჭიროებებზე მორგებული ვებსაიტის და მისი სამართავი პანელის შექმნა.
- სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების, მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, სისტემატიზაციისა და საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 მომსახურება მოიცავს

2.1.1. ვებ-გვერდის შექმნა სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთვის;

2.1.2. ბრენდისა და მისი მოთხოვნების შესაბამისი, თანამედროვე დიზაინის შექმნა(UI/UX);

2.1.1.1. Desktop Design

2.1.1.2. Mobile Design;

2.1.3. Front end & back end development;

2.1.4. ვებ-გვერდის სამართავი პანელის შემუშავება;

2.1.5. ვებ-გვერდის ოპტიმიზაცია SEO სტანდარტების მიხედვით;

2.1.6. ვებ-გვერდზე პირველადი კონტენტის განთავსება და ტესტირება;

2.1.7. ბეტა ვერსიის გაშვება;

2.1.8. ბაგების გასწორება და საბოლოო ვერსიის გაშვება;

**შენიშვნა: აღნიშნული საკითხების შემუშავება უნდა მოხდეს შემსყიდველთან შეთანხმებით და მოცემულ დოკუმენტში აღწერილ მინიმალურ ფუნქციონალურ და ტექნიკურ მოთხოვნებზე დაყრდნობით.*

3. ვებ-გვერდისთვის მინიმალური ტექნიკური და ფუნქციონალური მოთხოვნები:

ქვემოთ მოცემული ტექნიკური თუ ფუნქციონალური მოთხოვნები არის ის მინიმალური მოთხოვნები, რაც ვებ-გვერდს უნდა გააჩნდეს. ამავდროულად, მოთხოვნები არ არის მკაცრად განსაზღვრული და შესაძლებელია მათი განვითარება და გაუმჯობესება მიმწოდებლის მიერ, რომელიც აუცილებლად წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული შემსყიდველთან.

3.1. ზოგადი მოთხოვნები:

- 3.1.1. ვებ-გვერდის შესაქმნელად გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე Web Development სფეროში არსებული სტანდარტები და ინოვაციები;
- 3.1.2. ვებ-გვერდზე შესაძლებელი უნდა იყოს ცალკეული კომპონენტების განახლება სრული გვერდის განახლების გარეშე;
- 3.1.3. ვებ-გვერდის ჰოსტინგი უნდა განხორციელდეს დამკვეთის მიერ წინასწარ მითითებულ სერვერებზე.
- 3.1.4. ინფორმაციის (მონაცემთა) ბაზებს არ უნდა სჭირდებოდეს დამატებითი ლიცენზიების შესყიდვა;
- 3.1.5. ვებ-გვერდი ხარვეზების გარეშე უნდა მუშაობდეს ყველა პლატფორმაზე (Windows, Linux, Mac, Android, IOS), სხვადასხვა დიაგნოზის მქონე მოწყობილობის ეკრანისთვის (smartphones, desktops, tablets ა.შ) და ყველა პოპულარულ ვებ-ბრაუზერის მინიმუმ ბოლო ორ უახლეს ვერსიაზე (Mozilla, Chrome, Opera, Safari, Microsoft Edge);
- 3.1.6. SEO ოპტიმიზაცია: გვერდზე SEO საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა საძიებო სისტემის გაუმჯობესებული ხილვადობისთვის.
- 3.1.7. ვებ-გვერდი ოპტიმიზირებული უნდა იყოს საძიებო სისტემის Google -ის მოთხოვნების შესაბამისად;
- 3.1.8. ვებ-გვერდის URL მისამართები უნდა იყოს გადაწყვეტილი ე.წ. Search Engine Friendly URL-ის პრინციპით;
- 3.1.9. საიტს უნდა ჰქონდეს ავტომატურად გენერირებადი sitemap-ი, xml ფორმატში საძიებოს სისტემებისთვის;
- 3.1.10. ვებ-გვერდი დამზადებული უნდა იყოს ქეშირების მეთოდის გამოყენებით. (პირველი ჩატვირთვის გარდა ყოველი გვერდის ჩატვირთვისას, თუ ინფორმაცია არ იცვლება გვერდმა მონაცემთა ბაზას არ უნდა მიაკითხოს).
- 3.1.11. კოდი მაქსიმალურად უნდა იყოს ოპტიმიზირებული და გვერდების ჩატვირთვის სიჩქარე უნდა აკმაყოფილებდეს google site speed-ის საშუალოზე მაღალ შეფასებას. ნებისმიერი გვერდი უნდა იტვირთებოდეს სწრაფად, მასზე არსებული შიგთავსის მოცულობის მიუხედავად;
- 3.1.12. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს მართვის სისტემის (CMS) შექმნის გამოცდილება და მის მიერ შექმნილი CMS-ის ბაზაზე უნდა მოხდეს ვებ-გვერდის აწყობა. დაუშვებელია მისი აწყობა Drupal, Wordpress-ზე, Joomla ან სხვა მზა ძრავებზე;
- 3.1.13. მართვის სისტემა (CMS) უნდა მუშაობდეს იმ შემთხვევაშიც, როცა ის და ვებ-გვერდი დამოუკიდებელ სერვერებზეა განთავსებული;
- 3.1.14. ვებ-გვერდის აწყობის დროს მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს on-page SEO- სთვის CMS-ში ფუნქციების დეველოპმენტი;

- 3.1.15. ვებ-გვერდზე უნდა იყოს განთავსებული Open Graph თეგები, იმისათვის რომ ვებ-გვერდი ოპტიმიზირებული იყოს Facebook-ისთვის და სხვა სოციალური ქსელებისთვის;
- 3.1.16. ვებ-გვერდი უნდა იყოს მდგრადი კიბერ-შეტევების მიმართ. (მაგალითად: Sql Injection, Cross site Scripting, Cross site Request Forgery, Session Hijacking, HTTP Response Splitting, Remote/Local File Inclusion, Directory Transversal, Insecure Direct Object References, Security Misconfiguration, Unvalidated Redirects and Forwards, Blind SQL Injection და სხვა);
- 3.1.17. ვებ-გვერდი უნდა იყოს ორ ენაზე - ქართული და ინგლისური, შესაბამისად ქონთენთის დამატებაც შესაძლებელი უნდა იყოს ორ ენაზე;
- 3.1.18. ვებ-გვერდს უნდა ჰქონდეს მარტივი ნავიგაცია. მომხმარებელმა მარტივად უნდა შეძლოს მისთვის სასურველი ინფორმაციის ნახვა;
- 3.1.19. ვებ-გვერდი უნდა იყოს სსმპ ადაპტირებული, მეტად ინკლუზიური, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების და გამოწვევების ფართო სპექტრის განხილვას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანების ინტერაქციაზე ვებ კონტენტთან:
 - ფერების მაღალი კონტრასტი და წასაკითხი შრიფტები(არ უნდა იყოს გამოყენებული დეკორატიული შრიფტები);
 - ტექსტის ზომის შეცვლა და მასშტაბირება;
 - ტექსტის მეტყველების ფუნქცია;**შენიშვნა : საიტზე უნდა იყოს მითითებული აღნიშნული ფუნქციის ჩამრთველი დილაკი.*
- 3.1.20. ვებ-გვერდზე გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა ილუსტრაციები, რომელიც უნდა დახატოს მიმწოდებელმა. ილუსტრაციების კონცეფციის და რაოდენობების შემუშავება უნდა მოხდეს შემსყიდველთან შეთანხმებით;
- 3.1.21. ვებ-გვერდზე გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა ილუსტრაციები, რომელიც უნდა დახატოს მიმწოდებელმა. ილუსტრაციების კონცეფციის და რაოდენობების შემუშავება უნდა მოხდეს შემსყიდველთან შეთანხმებით;
- 3.1.22. მიმწოდებელმა სააგენტოს Brandbook -დან გამომდინარე უნდა შეიმუშაოს საიტის დიზაინი და კონცეფცია. ამავდროულად დიზაინში უნდა შეიტანოს დამატებითი ფერები.

3.2 პროექტის მართვის მიმართ მოთხოვნები

- 3.2.1. მიმწოდებელმა უნდა მართოს პროექტი და კოორდინაცია გაუწიოს დანერგვის პროცესს, რათა უზრუნველყოს პროექტის თითოეული ეტაპის წარმატებულად განხორციელება წინასწარ განსაზღვრული ვადების შესაბამისად;
- 3.2.2. მიმწოდებელმა პროექტის განხორციელების პერიოდში უნდა უზრუნველყოს მუდმივი კომუნიკაცია შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრულ პროექტის მენეჯერთან და აწარმოოს პროექტის სტატუსისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ პერიოდული ანგარიშგება. ანგარიშგება უნდა შეიცავდეს საკმარის დეტალურ ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც შემსყიდველს ექნება შესაძლებლობა განსაზღვროს პროექტის მიმდინარე სტატუსი, გაწეული სამუშაოების პროგრესი და შეძლოს რისკების იდენტიფიცირება.
- 3.2.3. მიმწოდებელმა ვებ-გვერდის სატესტო ვერსიის შექმნის პერიოდში უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს შესახებ დეტალური ანგარიში (პროგრესის ანგარიში) ყოველ 2 კვირაში ერთხელ. შემდგომ პერიოდში პროგრეს ანგარიშის წარმოდგენის პერიოდულობა შეთანხმდება მხარეებს შორის.
- 3.2.4. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გააანალიზოს და შეისწავლოს შემსყიდველის მოთხოვნები, მოახდინოს დავალებების იდენტიფიცირება და გამოყოს საჭირო რესურსი მის შესასრულებლად.

3.3 მიწოდების პირობები და ვადები

- 3.3.1 მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, შემსყიდველთან შეთანხმებით, უნდა შექმნას პროექტის შესრულების დეტალური გეგმა-გრაფიკი შესაბამისი რესურსების მითითებით. აღნიშნული დოკუმენტი დაეფუძნება ტექნიკურ დავალებას და საჭიროების ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, შეიძლება კორექტირებულ იქნას თითოეული მხარის მიერ. მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა აწარმოონ მოლაპარაკება განახლებული პროექტის დეტალური მოთხოვნების დოკუმენტის შესათანხმებლად ხელშეკრულების დადებიდან 15 დღის განმავლობაში. პროექტის გეგმა-გრაფიკი შეთანხმებულად ჩაითვლება, როდესაც იგი მისაღები იქნება შემსყიდველისთვის, რაც დადასტურდება წერილობითი ფორმით, ან დამოწმდება მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- 3.3.2 მომსახურების გაწევის ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 95 (ოთხმოცდა თხუთმეტი) კალენდარული დღე, მათ შორის:
- არაუმეტეს 30 (ოცდა ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს განსახილველად წარმოუდგინოს საიტის მთავარი გვერდის დიზაინი; დიზაინის დამტკიცებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღეში წარმოადგინოს სხვა დამატებით გვერდები;
 - დიზაინის დამტკიცებიდან არაუმეტეს 60 კალენდარულ დღეში შეიმუშაოს ვებ გვერდის პროგრამული უზრუნველყოფა, თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად;
- 3.3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება უსასყიდლოდ.
- 3.3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს უსასყიდლოდ გაუწიოს ვებ-გვერდის მხარდაჭერა (SUPPORT).
- 3.3.5. მიმწოდებელმა ვებ-გვერდის სატესტო ვერსიის შექმნის პერიოდში უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს შესახებ დეტალური ანგარიში (პროგრესის ანგარიში) ყოველ 2 კვირაში ერთხელ. შემდგომ პერიოდში პროგრეს ანგარიშის წარმოდგენის პერიოდულობა შეთანხმდება მხარეებს შორის.

3.4 მომსახურების და ვებ-გვერდის ჩაბარების პირობები

- 3.4.1. ვებ-გვერდის დიზაინები უნდა იყოს შექმნილი შემსყიდველთან შეთანხმებით;
- 3.4.2. მიმწოდებელმა უნდა დაამზადოს ვებ-გვერდის მთავარი გვერდის ორი განსხვავებული კონცეფციის დიზაინი, საიდანაც შემსყიდველი განახორციელებს მისთვის სასურველი ვარიანტის ამორჩევას. შემსყიდველი უფლებამოსილია მუშაობის პროცესში მოითხოვოს შემუშავებულ დიზაინში ცვლილების შეტანა. დიზაინის დამტკიცების შემდგომ მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ყველა შიდა გვერდის დიზაინი.
- 3.4.3. დიზაინის შექმნისას დაუშვებელია გამზადებული შაბლონური ვერსიების (Template) ან მათი ანალოგების გამოყენება.
- 3.4.4. მიმწოდებელი ვალდებულია ჩაბარებამდე სრულად გატესტოს საიტი და გამოასწოროს ხარვეზები.
- 3.4.5. ვებ-გვერდმა უნდა გაიაროს შემსყიდველის მიერ ჩატარებული ყველა ტესტირება. ტესტირების წარუმატებლად გავლის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზები.
- 3.4.6. მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ვებ-გვერდის უფასო ტექნიკური მხარდაჭერა და კონსულტაცია მისი შემსყიდველისთვის ჩაბარებიდან არანაკლებ სამი თვის განმავლობაში, რაც გულისხმობს ვებ-გვერდზე აღმოჩენილი ნებისმიერი სახის ხარვეზის დროულ აღმოფხვრას და გარკვეულ საკითხებში სატელეფონო ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კონსულტაციის გაწევას;

- 3.4.7. მიმწოდებელმა უნდა შეადგინოს და შემსყიდველს გადასცეს დეტალური დოკუმენტაცია ვებ-გვერდის მართვის სისტემის ფუნქციონალის და შესაძლებლობების შესახებ. უნდა შექმნას მომხმარებლის დეტალური სახელმძღვანელო ინსტრუქცია (User Guideline).
- 3.4.8. მიმწოდებელმა უნდა ჩაუტაროს ტრენინგი ვებ-გვერდის სამართავ პანელთან დაკავშირებით სააგენტოს შესაბამის თანამშრომლებს.
- 3.4.9. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა გადასცეს ვებგვერდთან დაკავშირებული ყველა source code, მათ შორის ფაილები, ფონტები, გრაფიკული ელემენტების ვექტორული ფაილები და ა.შ.
- 3.4.10. მიმწოდებელმა უნდა მართოს ხელშეკრულების ფარგლებში მის მიერ შექმნილი გვერდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინციდენტები

3.5 გვერდების სტრუქტურა & დიზაინი

3.5.1. გვერდების კატეგორიზაცია

- 3.5.1.1. ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იქნება სააგენტოს ძირითადი მიმართულებები, დაყოფილი კატეგორიებად. თითოეულ კატეგორიას ექნება უნიკალური დიზაინი და სტრუქტურა. უნიკალური დიზაინი ექნება ასევე ძირითადი კატეგორიის ზოგიერთ ქვე-გვერდსაც, რომელთა აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში. გარდა ამისა, მიმწოდებელმა უნდა შექმნას სტანდარტული გვერდი, რომელსაც ექნება ყველა იმ ფუნქციონალის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც აღწერილია ფუნქციონალური ერთეულების ჩამონათვალში.
- 3.5.1.2. მიმწოდებელმა უნდა დახატოს იმდენი უნიკალური დიზაინის გვერდი შესაბამისი მოდულებით და ჩანართებით რამდენიც მოცემულია ტექნიკურ დავალებაში. ამასთან ერთად, უნდა დახატოს სტანდარტული გვერდის რამდენიმე შაბლონი. შაბლონური გვერდების რაოდენობა და თითოეულზე არსებული ჩანართების და ვიზუალური ელემენტების განლაგება უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.
- 3.5.1.3. სტანდარტული გვერდის შაბლონები შესაძლოა იყოს რამდენიმე ტიპის მაგალითად, ტექსტური ტიპის, გალერიის ტიპის, სიითი ტიპის/რეპორტების ტიპის და სხვა. თითოეულს უნდა გააჩნდეს შესაბამისი დიზაინი და სტრუქტურა.
- 3.5.1.4. თითოეული გვერდის ტიპის მართვა ხდება ადმინისტრატორის პანელიდან. იერარქიულად გვაქვს ძირითადად სამ დონიანი გვერდების ჩაშლა, თუმცა დონეების რაოდენობა არ უნდა იყოს შეზღუდული და შესაძლებელი უნდა იყოს, მრავალ დონიანი გვერდების იერარქიის შექმნა.
- 3.5.1.5. გვერდების იერარქიის ასახვა უნდა მოხდეს საიტის მთავარ მენიუში.
- 3.5.1.6. ძირითადი კატეგორიის გვერდებს თითოეულს უნდა გააჩნდეთ დამატებითი ნავიგაციის მენიუ სადაც მოცემული იქნება, აღნიშნული კატეგორიის ქვეშ არსებული გვერდების ჩამონათვალი. მენიუს მართვა და კონფიგურაცია უნდა განხორციელდეს ადმინისტრატორის პანელიდან.

3.5.2. გვერდის შექმნა, დამატება

- 3.5.2.1. ვებ-გვერდზე არსებული ნებისმიერი ტიპის გვერდი როგორც არის, მთავარი გვერდი, კატეგორიის გვერდი, ქვეკატეგორიის გვერდი და შაბლონური გვერდები უნდა იყოს დინამიური და მართვადი ადმინისტრატორის მიერ;
- 3.5.2.2. ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს ამ გვერდების დამატება/წაშლა, კორექტირება, დროებითი დამალვა და გააქტიურება. ასევე გვერდების შიგთავსისა და სათაურების ცვლილება, სხვადასხვა მოდულების დამატება/წაშლა და ქვემოთ აღწერილი ფუნქციური ერთეულების გამოყენება;
- 3.5.2.3. თითოეულ გვერდზე შესაძლებელი უნდა იყოს სარჩევის განთავსება. სარჩევში მოცემულ თითოეულ სათაურზე დაკლიკებით გვერდი უნდა ისეროლებოდეს შესაბამის ნაწილზე/ჩანართზე გვერდის url-ის შეუცვლელად.
- 3.5.2.4. ახალი გვერდის დამატებისას ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს მოდულების ჩასმა. მოდულების შერჩევა უნდა მოხდეს მოდულების სიიდან.

3.5.3. ფუნქციური ერთეულების ჩამონათვალი:

- 3.5.3.1. ფაილის დამატება/გადმოწერა- შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი ფორმატის - JPEG, Audio/Video,PDF,PNG,word,.xls, PPT და ა.შ.ფაილების დამატება, Front end ში გადმოწერის/ნახვის საშუალებით.
- 3.5.3.2. ბექლინკები - შესაძლებელი უნდა იყოს ბექლიკების დამატება, ტექსტისთვის, სურათისთვის. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს იმის მითითება, დამატებული ლინკები Front end -ში დაკლიკებისას იმავე ტაბში გაიხსნას, თუ ახალ ტაბში ჩაიტვირთოს.
- 3.5.3.3. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა ტიპის ცხრილების და დიაგრამების ჩასმა, რომელთა გამოჩენა და front-end-ში გენერაცია მოხდება excel/csv ფაილების ატვირთვით ადმინისტრატორის მიერ. აღნიშნულ ფაილებს ექნებათ წინასწარ განსაზღვრული ფორმატი.

4. ვებ-გვერდისა და სამართავი პანელის მიმართ ზოგადი მოთხოვნები

4.1. ზოგადი მოთხოვნები

- 4.1.1.მართვის პანელს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ორ დონიანი ავტორიზაცია (2fa);
- 4.1.2.მართვის პანელს უნდა ჰქონდეს მედია მენეჯერი სადაც მოხდება საიტზე არსებული ყველა ფაილის ატვირთვა;
- 4.1.3.მართვის პანელი დაცული უნდა იყოს Brute-force შეტევებისგან, მაგ. თუ სამზე მეტჯერ შეეშალა მომხმარებელს პაროლი ის უნდა დაიბლოკოს წინასწარ განსაზღვრული დროით;
- 4.1.4.საიტზე ატვირთული ფაილების შენახვა უნდა მოხდეს ფაილ სერვერზე, რომელსაც მიუთითებს დამკვეთი;
- 4.1.5.ადმინისტრატორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საიტის კოდში ჩასვას ანალიტიკური ინსტრუმენტების სკრიპტები, მაგალითად:
 - Google Analytics
 - Google Tag Manager
 - Facebook Pixel
 - Hotjar
 - და ა.შ.
- 4.1.6.ასევე შესაძლებელი უნდა იყოს, მომხმარებლების მიერ საიტზე არსებული ისეთი მასალების გამოყენების tracking (აღრიცხვა), რაც Google Analytics -ით შეიძლება ვერ განხორციელდეს, უფრო ზუსტად ესენია, გამოკითხვები, სხვადასხვა ტიპის ფაილის გადმოწერები და სხვა;
- 4.1.7.ვებ-გვერდის სამართავ პანელში ცალკე გვერდზე ინტეგრირებული უნდა იყოს ტექსტის კონვერტორი ლათინური ტექსტიდან UTF-8 კოდირებაში და პირიქით.
- 4.1.8.ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს ნებისმიერი ტიპის დინამიური თუ სტატიკური გვერდის, შიგთავსისა და სათაურის ცვლილება;
- 4.1.9.ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს სამართავი პანელის მეშვეობით, მარტივი ინტერფეისის სახით ნებისმიერი გვერდის და კონტენტის, მათ შორის, გამოკითხვების, კალკულატორების და სხვა რესურსის მართვა. რედაქტირება, ყოველგვარი ტექნიკური ჩარევის გარეშე (იგულისხმება ვებ-გვერდის კოდი);
- 4.1.10. შესაძლებელი უნდა იყოს დამატებითი გვერდების შექმნა;
- 4.1.11. ნებისმიერი სახის ფოტომასალა - იქნება ეს thumbnail, დიდი ფოტო ან რაიმე სხვა სახის სურათი - სამართავი პანელიდან ატვირთვის შემდეგ უნდა გამოჩნდეს ზუსტად იმ პროპორციით და ზომით რაც გათვალისწინებული იქნება დიზაინში. ატვირთვის სკრიპტის საშუალებით უნდა ხდებოდეს ფოტომასალის ოპტიმიზაცია. ნებისმიერი

ფოტომასალა ავტომატურად უნდა აიტვირთოს ვებ-გვერდის ყველა ენობრივ ვერსიაში (დაუშვებელია ფოტომასალის დუბლირება);

- 4.1.12. ყველა დინამიურ გვერდს სრულ აღწერაში უნდა გააჩნდეს ტექსტური რედაქტორი, რომელსაც ექნება შრიფტების ზომის, ფერების, ტექსტის ფორმატის, ბმულების ვიდეო/ფოტო ფაილის ჩასმის შესაძლებლობა და ა.შ. ამავე რედაქტორში უნდა ჩანდეს მართვ ვებ-გვერდის დიზაინში გამოყენებული ფერები და შრიფტის ზომები;
- 4.1.13. შესაძლებელი უნდა იყოს თითოეული შექმნილი რესურსის (ტესტი, გვერდი, გამოკითხვა, ა.შ.) შესაბამისი შაბლონების შენახვა და ადმინისტრატორის მიერ გამოყენება.
- 4.1.14. ვებ-გვერდს უნდა ჰქონდეს ჰედერი, ე.წ. „ფუტერი“ (footer) და ნავიგაციის მენიუ, რომელიც გამოჩნდება ყველა გვერდზე.

4.2. დამატებითი მოთხოვნები

- 4.2.1. ვებ-გვერდის ყველა გვერდი უნდა იყოს გაზიარებადი შემდეგ სოციალურ ქსელებში, facebook, twitter, linkedin თითოეულს გაზიარებისას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი სურათი, სათაური და მოკლე აღწერა (რომელიც მართვადი იქნება ადმინისტრატორის მიერ).
- 4.2.2. სარეკლამო ბანერები - შესაძლებელი უნდა იყოს თითოეულ გვერდზე ბანერის ჩამატება. თითოეულ ბანერზე დაკლიკებით გადავდივართ შესაბამის ბმულზე. ბანერის სურათისა და ბექლინკის მითითება ხდება ადმინისტრატორის პანელიდან.
- 4.2.3. ვებ-გვერდის ყველა გვერდზე გარდა მთავარი გვერდისა უნდა გამოჩნდეს ნავიგაციის მენიუ.
- 4.2.4. ვებ-გვერდის ყველა გვერდზე გარდა მთავარი გვერდისა უნდა იყოს breadcrumbs. თითოეულზე დაკლიკებით, გადავდივართ შესაბამის გვერდზე.
- 4.2.5. ვებ-გვერდის ყველა გვერდზე გვაქვს print ღილაკი, რომელზე დაკლიკების დროს უნდა გამოვიდეს დასაბეჭდი ფორმა სააგენტოს შესაბამისი ლოგოთი და ინიციალებით.
- 4.2.6. ვებ-გვერდის ყველა გვერდის ბოლოს, გარდა მთავარი გვერდისა, უნდა იყოს „მსგავსი გვერდების“ ჩამონათვალის (Related Link-ების) გამოტანის შესაძლებლობა. რომელთა მითითება მოხდება ადმინისტრატორის მიერ, შესაბამისი სათაურით და ბექლინკით. აღნიშნული front-end-ში უნდა გამოჩნდეს ცალკე ჩანართად.
- 4.2.7. ვებ-გვერდს უნდა ჰქონდეს Follow us on -ის შესაძლებლობა შემდეგ სოციალურ ქსელებში:
 - Facebook
 - Twitter
 - YouTube
 - Instagram
 - LinkedIn
- 4.2.8. სოციალური ქსელების შესაბამისი “icons” გამოჩნდება ყველა გვერდზე. ლოკაცია შესაძლოა იყოს ე.წ. „ფუტერი“ (Footer).

4.3. მენიუების მართვა

- 4.3.1. საიტის ძირითადი ნავიგაციის მენიუ უნდა იყოს მოქნილი და მომხმარებლისთვის მარტივი. კერძოდ მომხმარებელს უნდა შეეძლოს, საიტის სრული სტრუქტურის ნახვა საიტის ძირითად მენიუში, ნებისმიერ გვერდზე ყოფნის მიუხედავად.
- 4.3.2. ადმინისტრატორს, უნდა შეეძლოს, როგორც მენიუს ისე მისი შემადგენელი კომპონენტების, დამატება, წაშლა, რედაქტირება, დამალვა და გამოჩენა, შესაბამისი ინტერფეისის დახმარებით.
- 4.3.3. მენიუში არსებული კომპონენტების მართვა (გვერდების გადალაგება) უნდა იყოს drag&drop პრინციპით.
- 4.3.4. დამატებით უნდა არსებობდეს ქვე-მენიუები, რომლებიც შეიძლება ინდივიდუალური იყოს კონკრეტული კატეგორიისთვის, შესაბამისად ასეთ მენიუებში არსებული კომპონენტები (გვერდები) იქნება მხოლოდ ამ მიმართულების.

- 4.3.5. ვებ-გვერდზე გვაქვს სამი ტიპის დინამიური გვერდი: „კატეგორია“, „ქვეკატეგორია“, „სტანდარტი“. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კატეგორიების დამატებაც უნდა იყოს შესაძლებელი შეუზღუდავად.
- 4.3.6. ჰედერში ჩანს მთავარი კატეგორიები თითოეულ კატეგორიაზე მათს მიტანისას ჩამოიშლება მენიუ, სადაც იქნება მოცემული ამ კატეგორიის ქვეკატეგორიები და მათი შესაბამისი სტანდარტული გვერდები თითოეულზე დაკლიკებით გადავდივართ შესაბამის გვერდზე.
- 4.3.7. ადმინისტრატორის პანელში გვერდის შექმნისას უნდა მიეთითოს გვერდის ტიპი:
- 1.1.1. თუ გვერდის ტიპი არის „კატეგორია“, მაშინ მისი გამოჩენა Front-end -ში მოხდება ჰედერში, ძირითადი კატეგორიების ჩამონათვალში.
- 1.1.2. თუ გვერდის ტიპი არის „ქვეკატეგორია“, მაშინ უნდა მიეთითოს თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება, რათა მისი გამოჩენა მოხდეს შესაბამისი კატეგორიის ქვეშ.
- 1.1.3. თუ გვერდის ტიპი არის „სტანდარტული“, მაშინ - უნდა მიეთითოს თუ რომელ ქვეკატეგორიის გვერდს ეკუთვნის, რათა მისი გამოჩენა მოხდეს შესაბამისი ქვეკატეგორიის ქვეშ.
- 4.3.8. სამივე გვერდის ტიპი არის მართვადი ადმინისტრატორის პანელიდან.
- 4.3.9. გვერდების იერარქიის ასახვა უნდა მოხდეს ვებ-გვერდის მთავარ მენიუში.

5. სამართავი (ADMIN) პანელის შესახებ

ვებსაიტის მართვის პანელი შექმნილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს მარტივი ნავიგაცია და შინაარსის მართვა ვებსაიტზე. ეს პანელი უფლებამოსილ ადმინისტრატორებს აძლევს წვდომას, რომ აკონტროლონ ვებსაიტის სხვადასხვა განყოფილება და გვერდები. მართვის პანელი გთავაზობთ მოსახერხებელ ინტერფეისს საიტის ეფექტური მართვისთვის.

5.1. ავტორიზაცია

- 5.1.1. ავტორიზაცია უნდა იყოს ორ დონიანი;
- 5.1.2. ადმინ პანელში, შესვლა შესაძლებელი იქნება მომხმარებლის იუზერისა და პაროლის შეყვანით. მეორე დონეზე კი, გაგზავნილი ერთჯერადი კოდის მითითებით.
- 5.1.3. ავტორიზაციის გვერდზე უნდა გვექონდეს SUDA-ს ლოგო, შესავსები ველები:

- მომხმარებელი
- პაროლი

➤ დილაკი „ავტორიზაცია“

**დილაკზე „ავტორიზაცია“ დაკლიკებით (იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი და პაროლი სწორად არის შეყვანილი) იუზერი უნდა შევიდეს ადმინ პანელის მთავარ გვერდზე. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან პაროლი არასწორია, უნდა გამოვიდეს შესაბამისი ერორ შესიჯი: „მომხმარებელი ან პაროლი არასწორია“.*

5.2. როლები და უფლებები ადმინ პანელში

- 5.2.1. საიტს უნდა ყავდეს სამი ტიპის მომხმარებელი, შესაბამისად განსაზღვრული როლებით:

5.2.1.1. ადმინისტრატორი - სუპერ ადმინი, შეუზღუდავი შესაძლებლობებით ადმინისტრატორის პანელში, მათ შორის და არანაკლებ:

- ✓ სრული კონტროლი ადმინისტრაციული პანელის ყველა ასპექტზე;
- ✓ მომხმარებლის (სხვადასხვა) ანგარიშების და მათი როლების შექმნა, რედაქტირება, წაშლა ;
- ✓ საიტის შინაარსის, მათ შორის გვერდების, ბლოგის პოსტების და მედიის მართვა;

- ✓ პარამეტრების კონფიგურაცია და წვდომა ადმინისტრაციული პანელის ყველა განყოფილებაზე;
- ✓ კონტროლი მომხმარებლის წვდომებსა და ნებართვებზე;

5.2.1.2. ქვე-ადმინი - კონტენტის მენეჯერი/რედაქტორი, ადმინისტრატორის მიერ, საიტის მართვის კუთხით წინასწარ განსაზღვრული როლით:

- ✓ ვებ-გვერდის შინაარსის (გვერდები, ბლოგის პოსტები) შექმნა/რედაქტირება/წაშლა;
- ✓ მედია ფაილების ატვირთვა და მართვა;
- ✓ საჭიროებისამებრ შესაძლოა ჰქონდეს შეზღუდული წვდომა ადმინისტრაციული პანელის სხვა სექციებზე, მომხმარებლის მენეჯმენტის გამოკლებით;

5.2.1.3. ქვე-ადმინი - ავტორი, მენეჯერი/რედაქტორი, ადმინისტრატორის მიერ, საიტის მართვის კუთხით წინასწარ განსაზღვრული როლით:

- ✓ ბლოგის პოსტების ან სტატიების შექმნა და რედაქტირება.
- ✓ შეზღუდული წვდომა მედია ატვირთვებზე და კონტენტის გამოქვეყნებაზე.
- ✓ არ უნდა ჰქონდეს წვდომა ძირითად პარამეტრებზე და მომხმარებლის მენეჯმენტზე.

5.2.2. საიტის ადმინისტრატორმა, ქვე-ადმინის დამატების დროს უნდა მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:

- მომხმარებლის სახელი გვარი
- მომხმარებლის მეილი
- მომხმარებლის პაროლი
- Permissions (ნებართვების მინიჭება)

5.2.3. შესაძლებელი უნდა იყოს საიტის კონფიგურირებაზე პარალელურად მუშაობდეს რამდენიმე ქვე-ადმინი ერთდროულად, რამაც არ უნდა გამოიწვიოს რაიმე ხარვეზი, ან შეფერხება;

5.3. ლოგირება ადმინ პანელში

5.3.1. ადმინისტრატორის პანელში უნდა არსებობდეს ლოგირების მოდული, სადაც იქნება ინფორმაცია თითოეული ადმინის თუ ქვეადმინის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ, იქნება ეს მენიუს რედაქტირება/წაშლა, გვერდის დამატება/წაშლა თუ სხვა.

5.3.2. ლოგების სტრუქტურაში წარმოდგენილი ლოგები იქნება სიის სახით. თითოეულს ექნება შემდეგი ველები:

- მომხმარებლის მიერ განხორციელებული ქმედების დრო.
- მომხმარებლის სახელი
- განხორციელებული ქმედება (წინასწარ განსაზღვრული ფორმატის, შესაძლოა იყოს შემდეგი სახით: გვერდი -> წაშლა)
- ბმული

5.3.3. ლოგირების მოდულს უნდა ჰქონდეს ასევე ფილტრაცია:

- ფილტრაცია ქმედების მიხედვით (ასარჩევი ველი საიდანაც შესაძლებელია მოვნიშნოთ კონკრეტული ქმედება მაგ: გვერდის -> წაშლა) არჩევის შემთხვევაში ლოგები გაიფილტრება და გამოჩნდება მხოლოდ ამ ქმედების შესაბამისი ლოგები.

- ფილტრაცია ღროის მიხედვით (კალენდარი საიდანაც შესაძლებელი იქნება შევარჩიოთ კონკრეტული რიცხვი და ამ რიცხვის შესაბამისად გაიფილტრება ლოგები)
- ლოგირების მოდულს ასევე უნდა ჰქონდეს, გვერდების გადამრთველი და სრული ლოგების ჯამური მაჩვენებელი.

5.4. მენიუს მართვა და ადმინ პანელის მოდულები

- ადმინისტრატორს, უნდა შეეძლოს, როგორც მენიუს ისე მისი შემადგენელი კომპონენტების, დამატება, წაშლა, რედაქტირება, დამალვა და გამოჩენა, შესაბამისი ინტერფეისის დახმარებით.
- მენიუში არსებული კომპონენტების მართვა (გვერდების გადალაგება) უნდა იყოს drag&drop პრინციპით.
- დამატებით უნდა არსებობდეს ქვე-მენიუები, რომლებიც შეიძლება ინდივიდუალური იყოს კონკრეტული კატეგორიისთვის, შესაბამისად ასეთ მენიუებში არსებული კომპონენტები (გვერდები) იქნება მხოლოდ ამ მიმართულების.

ადმინ პანელში უნდა დაგვხვდეს შედეგი მოდულები:

5.4.1. ჰედერი

მართვის პანელი საშუალებას აძლევს ადმინისტრატორებს, მართონ ჰედერში ნაჩვენები ლოგო, ნავიგაციის მენიუს ბმულები და საკონტაქტო ინფორმაცია. დამატება/რედაქტირება/წაშლა.

5.4.2. ლენდინგი - მთავარი გვერდი

მთავარი გვერდის ქვეშ ჩამოიშლება მთავარ გვერდზე არსებული მონაცემების მართვის ქვე მოდულები:

- „ტექსტი“ შესაძლებელი უნდა იყოს ტექსტური მონაცემების წაშლა, ცვლილება, დამატება ამ ქვე მენიუში უნდა გამოვიდეს ლენდინგზე არსებული ტექსტი, შესაძლებელი უნდა იყოს არსებული ტექსტის მთლიანად გასუფთავება, კორექტირება, ახლის დამატება.
- „ქავერ ფოტო“ შესაძლებელი უნდა იყოს ფოტოს წაშლა, დამატება; ამ ქვე მენიუში უნდა გამოვიდეს ლენდინგის ქავერ ფოტო, უნდა იყოს შესაძლებელი არსებული ფოტოს ამოშლა, ახალი ფოტოს ატვირთვა და წაშლა,

